





**კვირის ეკონომიკური მონიტორი
3 - 9 სექტემბერი, 2018**

- აგვისტოში ინფლაციის დონემ 3.1% შეადგინა.
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად 7%-ზე შენარჩუნდა.
- საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 14 მლნ.-ით შემცირდა.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამომავლის მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით



ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19,7 პროცენტით გაიზარდა და 19,9 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამომავლის მაჩვენებელიც. 2018 წლის II კვარტალში მისი მოცულობა 10,0 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 12,7 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.


საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2018 წლის II კვარტალში 13,8 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18,8 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 8,5 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19,6 პროცენტით მეტი).

2018 წლის II კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 656,5 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4,0 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 41,0 პროცენტი ქალია, ხოლო 59,0 პროცენტი - კაცი.


დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36,8 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22,0 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 41,2 პროცენტი - მცირე ბიზნესზე. დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 621,4 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 3,9 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები



**ბიზნეს სექტორის პროდუქციის სტრუქტურა,
2018 წელი II კვარტალი**



**ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა,
2018 წლის II კვარტალი**




პერსონალზე - 2159,8 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,2 პროცენტით მეტი).

2018 წლის II კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1150,4 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 43,5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 872,8 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 56,5 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია: მსხვილი ბიზნესი – 1210,3 ლარი, საშუალო ბიზნესი – 1303,2 ლარი, მცირე ბიზნესი – 996,3 ლარი.

2018 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (22,9 პროცენტი) და მშენებლობა (18,7 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (16,8 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9,4 პროცენტისა და ფილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 32,2 პროცენტისა და ფილი უჭირავს.

2018 წლის II კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 25,3 პროცენტი, 13,2 პროცენტი და 10,5 პროცენტისა და ფილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების (10,4 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8,1 პროცენტი) და განთავსების საქმიანობებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5,4 პროცენტი).


წლიური ინფლაციის დონე საქართველოში
(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

კატეგორია	ცვლილება (%)
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	3.2
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	4.7
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-8.8
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი	3.4
ავტო, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	2.1
განმრთელობის დაცვა	5.2
ტრანსპორტი	7.8
კაფეინირებული	-1.3
დასვენება, გართობა და კულტურა	1.8
განათლება	1.2
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.8
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.5

ჯგუფების წვლილი 2018 წლის აგვისტოს ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 3.1%)



ინფლაციის დონე, სულ 3.1

2018 წლის აგვისტოში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0,5 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 3,1 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 7,8 პროცენტის მატება, რაც წლიურ ინფლაციაზე 1,04 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების

ექსპლუატაციაზე (12,9 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-9,7 პროცენტი);

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 3,2 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,96 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია ქვეჯგუფებზე:


ბოსტნეული და ბაღჩეული (24,7 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (4,4 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4,3 პროცენტი), თევზეული (3,3 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (2,0 პროცენტი).

ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-17,1 პროცენტი), ასევე შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე (-3,1 პროცენტი); განმრთელობის დაცვა: ფასები მომატებულია 5,2 პროცენტით, რაც 0,44 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (10,0 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (2,9 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (2,4 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 4,7 პროცენტით, რაც 0,33 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე (8,0 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1,4 პროცენტი); საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი: ფასები გაიზარდა 3,4 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0,29 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები მომატებულია წყალმომარაგებისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7,7 პროცენტი), ასევე ელექტროენერჯის, აირის და სათბობის სხვა სახეების (3,2 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.



მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად 7-ზე შენარჩუნდა.


2018 წლის დასაწყისში ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდა და, პროგნოზების შესაბამისად, წლის განმავლობაში მიზნობრივ დონესთან (3 პროცენტი) ახლოს მოძრაობს. აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ 3.1 პროცენტი შეადგინა. არსებული პროგნოზებით, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაცია წლის განმავლობაში და ასევე საშუალოვადიან პერიოდში, მიზნობრივი მაჩვენებლის ირგვლივ იმერყეებს. რეგიონში განვითარებული მოვლენების ფონზე გაიზარდა მაკროეკონომიკური რისკები, რამაც ფინანსურ ბაზრებზე მერყეობის ზრდა გამოიწვია. თუმცა, ამ რისკების რეალიზების შემთხვევაშიც, ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივი დონიდან მნიშვნელოვანი გადახრა მოსალოდნელი არ არის. ეროვნული ბანკის შეფასებით, გამკაცრებული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლის საჭიროება კვლავაც დგას, თუმცა ამ პროცესის გაგრძელება საგარეო რისკების სიძლიერეზე იქნება დამოკიდებული.

ეკონომიკური აქტივობა 2018 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა და, წინასწარი მონაცემებით, პირველ შვიდ თვეში რეალურმა ზრდამ 5.5 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული დინამიკა ხელს უწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის პოტენციური დონიდან ჩამორჩენის სწრაფად აღმოფხვრას.


პოზიტიური ტენდენციები შენარჩუნდა საგარეო სექტორშიც. კვლავ მაღალი ტემპით მატულობს საქონლის ექსპორტი და პირველ შვიდ თვეში წლიურმა ზრდამ 29 პროცენტი შეადგინა. ტურისტული შემოსავლები ამავე პერიოდში 22 პროცენტით გაიზარდა. ასევე გრძელდება ფულადი გზავნილების დადებითი დინამიკაც (წლიური ზრდა 18 პროცენტი). თუმცა, ადგილობრივი მოთხოვნის გააქტიურების ფონზე, საგრძნობლად დაჩქარებულია იმპორტის ზრდის ტემპიც (23 პროცენტი).

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ფინანსურ ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.






საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წლის 31 აგვისტოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2,911 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით შემცირებულია 14 მილიონი აშშ დოლარით. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი შემცირებულია 3,9 მილიონი აშშ დოლარით.




საბაზრო მონაცემების თანახმად, მიმდინარე კვირაში ლარი დოლართან მიმართებაში 1,18%-ით გაუფასურდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი დოლარის შეძენა 2,6126 ლარად იყო შესაძლებელი.




გასული ერთი თვის ლარის კურსის მერყეობა დოლართან მიმართებაში გამოსახულია გრაფიკზე, საიდანაც ჩანს, რომ საბაზრო მონაცემების თანახმად გასულ თვეში ლარი დოლართან მიმართებაში 5,71%-ით გაუფასურდა.

ევრო/ლარის გაცვლითი კურსი



საბაზრო მონაცემების თანახმად მიმდინარე კვირაში ლარი ევროსთან მიმართებაში 1,03%-ით გაუფასურდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი ევროს შეძენა 3,0395 ლარად იყო შესაძლებელი.

ევრო/ლარის გაცვლითი კურსი



ბოლო ერთი თვის განმავლობაში ლარი ევროსთან მიმართებაში 5,67%-ით გაუფასურდა.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში ანალიზისათვის გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქსტატის, ეროვნული ბანკის და აგორა ფინანსების ვებ-გვერდებიდან.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში მოყვანილი მასალის ნებისმიერი ფორმით გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია მითითებული იქნას აგორა ფინანსები როგორც ინფორმაციის წყარო.

საკონტაქტო ინფორმაცია:
 გიორგი მუშკუდიანი
g_mushkudiani@agora.ge